29/08/2024

MES 9 24 0001028296

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქალაქი თბილისი
სხდომის დაწყების დრო: 17:00 საათი
დასრულებისდრო: 00:00 საათი
საბჭოსთავმჯდომარე: ნინო ჩინჩალაძე
საბჭოსმდივანი: დავით ლეშკაშელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის, გამოყენებით **2024 წლის 20 აგვისტოს**.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **ნინო ჩინჩალაძე -** ა(ა)იპ - ფონდის საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;

1. **დავით ლეშკაშელი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
2. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პრფესორი;
3. **მიხეილ გურგენიძე** - შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში ასისტენტ-პროფესორი;
4. **ლევან მიდოდაშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
5. **სერგო ჭელიძე** - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს პროფესორი;
6. **ქრისტინა რზგოევა** - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
7. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
8. **კონსტანტინე სირბილაძე** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. **ივანე ჯაგოდნიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **ემილ ავდალიანი** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი;

11. **სალომე კუჭუხიძე** - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი;
12. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი**- სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) მო წვეული წევრები:

1. **ივანე აბიათარი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ინტიტუტის დირექტორი და "მედიცინის სკოლის" ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
2. **ნინო ოკრიბელაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი;
3. **მაია ბიწკინაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
4. **თამარვალიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი;
5. **ზაზაავალიანი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის "მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;
6. **მარინე გელანტია** - სს "ჩაჩავას კლინიკის" გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
7. **ნინო შარიქაძე** - შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის“ კლინიკური ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი.
8. **დავით კობეშავიძე** - შპს "იმედის კლინიკის" დირექტორი;
9. **გივი ჯავაშვილი** - საქართველოს ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
10. **ივანე ჩხაიძე** - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
11. **ხათუნა ზალდასტანიშვილი** - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
12. **შორენა წიკლაური** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი;
13. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

1. ***ქრისტინე აბულაძე-*** *უმაღლესიგანათლებისხარისხისუზრუნველყოფისსამსახურის მთავარისპეციალისტი.*
2. ***ქეთევან ინანაშვილი*** *- უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.*

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

მერაბ ხალვაში - რექტორი, პროფესორი;
მერაბ დიასამიძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ასოც. პროფესორი;
ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი;
ანზორ ბერიძე - რექტორის მოადგილე, პროფესორი;
თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე, პროფესორი;
რუსუდან ხუხუნაიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
თეა ქოიავა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროს, ასოც. პროფესორი;
სოფო ბერიძე - დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი;
ამირან შარაძე - სასწავლო დეპარტამენტის უფროსი;
ჟანა ჯიბლაძე - იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
ირინა ბერიძე - საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი.

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი:

კახაბერ ლაზარაშვილი - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი;
თეა იმედაძე- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ვიცე რექტორი;
დავით ბოსტოღანაშვილი - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი;
ეკა ლუაშვილი - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ქეთი აფთარაშვილი - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპ ერტები):

დავითმახვილაძე**-** I საკითხი;
გიგახოსიტაშვილი-I, II საკითხი;
ილია ბოცვაძე - I საკითხი;
დავით თოფურია - I, II საკითხი;
ეკა გეგეშიძე - I საკითხი;
გიორგი აბულაძე - II საკითხი;
ზაზა ცოტნიაშვილი - II საკითხი;

ციცინო თურქაძე - II საკითხი;
გიორგი გვენეტაძე - II საკითხი;

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 17:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ჩინჩალაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.
2. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.
2. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს/მოწვეული საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის და მოწვეული საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს/მოწვეული საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს/მოწვეული საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

საერთაშორისო ექსპერტი, ნადია ბადრავი, ავტორიზაციის საბჭოს არ ესწრებოდა. მისი შეფასება დაწესებულებასთან მიმართებით ვიდეო ჩანაწერის სახით საბჭოს წევრებს ანი ლელაძემ წარმოუდგინა. მან აღნიშნა, რომ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს საქართველოში მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც დემონსტრირებს ქვეყნის კულტურას და ისტორიას. მისი ფუნქციონირება დაიწყო 90-იან წლებში და 2006 წელს საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მისი თქმით, დაწესებულება მოიცავს შვიდ ფაკულტეტს და ახორციელებს 83 საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის, საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, მედიცინის ერთსაფეხურიან ქართულენოვან და ინგლისურენოვან პროგრამებს და პროფესიულ პროგრამებს, რომელთა უმრავლესობა აკრედიტებულია ცენტრის მიერ. უნივერსიტეტში სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში ირიცხება დაახლოებით 7000-მდე სტუდენტი, მათ შორის, 760 საერთაშორისო სტუდენტი. პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობს 1021 აკადემიური პერსონალი, რომლებიც ეწევიან საგანმანათლებლო სამეცნიერო საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობას. უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი ჩართულია სხვადასხვა მიმართულების კვლევებში. დაწესებულება აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით და საგანმანათლებლო პროექტებში. უნივერსიტეტში მკვლევრების რაოდენობა აღემატება 1900-ს. ნადია ბადრავას თქმით, აღნიშვნის ღირსია დაწესებულების ძალიან კარგი მატერიალური რესურსი. შენობის ფართობი მოიცავს 49 000 კვმ-ს, სამედიცინო დაწესებულებას, საკმარისი რაოდენობის ლაბორატორიებს, ობიექტურად სტრუქტურირებულ კლინიკური გამოცდის ცენტრს და ა.შ. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი იყო 153 გვერდიანი ვრცელი თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტებით. ასვე ექსპერტების მიერ გამოითხოვილი იქნა დამატებით დოკუმენტაცია. ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 27 - 30 მაისს. ჩატარდა გასაუბრებების სესიები. განხორციელდა მატერიალური რესურსების ობიექტების დათვალიერება, მათ შორის, მედიცინის ობიექტების დათვალიერება. დაწესებულებაში ვიზიტის პირველ დღეს ექსპერტებმა განახორციელეს დაახლოებით 10 გასაუბრება. შეხვედრები განხორციელდა ვიზიტის მეორე დღესაც. მესამე დღეს ექსპერტთა ჯგუფი ესაუბრა კურსდამთავრებულებს, რეგიონის წარმომადგენლებს და დამსაქმებლებს. შეხვედრები მიმდინარეობდა როგორც დისტანციურ, ისე პირისპირ რეჟიმში. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინეს საკმაოდ კარგი ციფრული პორტალის პრეზენტაცია. დათვალიერებული იქნა კვლევასთან დაკავშირებული ობიექტები, კერძოდ, ბიბლიოთეკა, კლინიკური გამოცდის ცენტრი, საერთო საცხოვრებელი, სპორტული დარბაზები და ა.შ. პარალელურ რეჟიმში მოხდა მედიცინის პროგრამისათვის განკუთვნილი მატერიალური რესურსის დათვალიერება. ვიზიტის ბოლო დღეს განხორციელდა შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებთან უნივერსიტეტის და ფაკულტეტების დონეზე და

ვიცე - რექტორთან. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა ცამეტი რეკომენდაცია, ცამეტი რჩევა და ოთხი საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი. იმის გათვალისწინებით, რომ მედიცინის პროგრამაზე სწავლობენ საერთაშორისო სტუდენტები, აღსანიშნავია უნივერსიტეტის მზაობა გაითვალისწინოს სტუდენტების რჩევები და ერთ-ერთ ასეთ მაგალითს წარმოადგენს გლობალური ჯანდაცვის კურსის დამატება ინდოეთში არსებული ჯანდაცვის პრობლემების საკითხების გათვალისწინებით. გამომდინარე იქიდან, რომ სტუდენტების უმრავლესობა წარმოდგენილია ინდოეთიდან. ექსპერტთა ჯგუფმა მედიცინის მიმართულებით გასცა რამდენიმე რეკომენდაცია და რჩევა, რომელიც დეტალურად მოცემულია დასკვნაში. ექსპერტმა დავით მახვილაძემ განაცხადა, რომ პირველი სტანდარტის პირველი კომპონენტი შეფასდა სრულად შესაბამისობაში, ხოლო მეორე კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტის პირველი და მეორე კომპონენტი შეფასდა მეტწილად შესაბამისობაში, ხოლო მესამე კომპონენტი სრულად შესაბამისობაში მოთხოვნებთან. მესამე სტანდარტის პირველი კომპონენტი შეფასდა სრულად შესაბამისობაში, ხოლო მეორე და მესამე კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან. მეოთხე სტანდარტის პირველი კომპონენტი შეფასდა მეტწილად შესაბამისობაში, ხოლო მეორე კომპონენტი სრულად შესაბამისობაში მოთხოვნებთან. მეხუთე სტანდარტის პირველი კომპონენტი შეფასდა მეტწილად შესაბამისობაში, ხოლო მეორე კომპონენტი სრულად შესაბამისობაში მოთხოვნებთან. მეექვსე სტანდარტის პირველი და მეორე კომპონენტი შეფასდა მეტწილად შესაბამისობაში, ხოლო მესამე სტანდარტი სრულად შესაბამისობაში მოთხოვნებთან. მეშვიდე სტანდარტის პირველი, მეორე და მესამე კომპონენტი შეფასდა მეტწილად შესაბამისობაში, ხოლო მეოთხე კომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან. ექსპერტმა ეკა გეგეშიძემ აღნიშნა, რომ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის განვითარებაზე ორიენტირებული დაწესებულება. ძირითადი რეკომენდაციები ორიენტირებული იყო იმაზე, რომ სტრატეგიულ დაგეგმვაში კარგად არ ჩანდა როგორ უნდა გადასულიყო უნივერსიტეტის შეფასების ინდიკატორები სამოქმედო გეგმაზე. ასევე ადამიანური კაპიტალის განვითარება უნივერსიტეტში ცალკე დეპარტამენტად არ იყო გამოყოფილი. მისი თქმით, დაწესებულებამ ხარისხის კულტურა უნდა განავითაროს და გააუმჯობესოს. გარდა ამისა, კლინიკური ტრენინგები უნდა განვითარდეს იმ მიმართულებით, რომ პრაქტიკის ადგილებზე გაუმჯობესდეს ინგლისური ენის ცოდნის დონე. ასევე უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს 360 გრადუსიანი ინდიკატორები და გააუმჯობესოს სტუდენტური თვითმმართველობა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ უნდა იმუშაოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესებაზე. მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო სისტემები ქართულ ენაზე კარგად არის დაწესებულებაში განვითარებული, ინგლისურ ენაზე უნივერსიტეტის ვებგვერდი შეიცავს მნიშვნელოვანი ინფორმაციის ნაკლებობას. გარდა ამისა, დაწესებულებაში ვერ დგინდება ეფექტიანობის შეფასების მიმართულებები, რომლებიც კავშირშია შესრულების განვითარების ინდიკატორებთან. ექსპერტმა დავით თოფურიამ აღნიშნა, რომ როდესაც სამედიცინო პროგრამის სილაბუსების შემოწმება ხდებოდა, ინდოეთის მოქალაქეებმა აღნიშნეს, რომ „ინფექციურ სნეულებათა სილაბუსში“ დიდი ნაწილი ეთმობოდა მალარიის, დენგეს ცხელებისა და C ჰეპატიტის შესწავლას, რაც მათ ხელს უწყობდა ინდოეთში სამედიცინო ლიცენზიის მოპოვებას. დაწესებულებაში ასევე მომხიბვლელი იყო კვლევისა და სასწავლო კომპონენტის კომერციალიზაციის პროექტი, რომელიც ქიმიის დეპარტამენტში არსებობდა. ასევე უნივერსიტეტის მხრიდან მისასალმებელი იყო ის, რომ დოქტორანტთა დიდი უმეტესობა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები იყვნენ. ექსპერტმა გიგა ხოსიტაშვილმა განაცხადა, რომ ერთ-ერთი მისასალმებელი პრაქტიკა დაწესებულების მხრიდან იყო პროფესორ მასწავლებელთა წახალისების მექანიზმი, კერძოდ, ყოველ გამოქვეყნებულ საერთაშორისო პუბლიკაციაზე პროფესორი იღებს ფულად წახალისებას. ექსპერტმა დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ შიდა აუდიტის დეპარტამენტის არსებობა ყველა საჯარო სამართლის იურიდილ პირში სავალდებულოა. შესაბამისად, აუცილებელია, რომ უნივერსიტეტმა დააჩქაროს

შესაბამისი კადრის მოძიება ამ პოზიციაზე დასანიშნად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, მერაბ ხალვაში, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან 1.2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა სრული შესაბამისობით. აღნიშნული რეკომენდაცია სრული შესაბამისობით შეფასდა მას შემდეგ, როდესაც უნივერსიტეტმა არგუმენტირებული პოზიცია გაუზიარა ექსპერტთა ჯგუფს. მოცემული რეკომენდაცია ეხებოდა არა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის სტრუქტურასა და არქიტექტონიკას, არამედ მასში საუბარია იყო მონიტორინგზე, შეფასებაზე და მეთოდოლოგიაზე. მან აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით უნივერსიტეტში ნამდვილად იყო პრობლემა, რომელიც გამოწვეული იყო „COVID 19“ პანდემიით, თუმცა თუ გადავხედავთ 2018 – 2020 წლებს, დავინახავთ, რომ ეს პროცესები არ იყო შეჩერებული და გრძელდებოდა. „COVID 19“-ის პანდემიამ დაწესებულებას მისცა იმისი გამოცდილება, რომ ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმა შეემუშავებინა. შესაბამისად, დაწესებულებაში არსებულ მეთოდოლოგიას სრულად ეფუძნება ახალი სტრატეგიული გეგმა. რა თქმა უნდა, უნივერსიტეტი იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას და მომავალში გეგმავს, რომ შეფასების ეს პროცესი უფრო დახვეწოს, რათა სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული შედეგები მიღწეული იქნას. 2.1 რეკომენდაციასთან მიმართებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტი იზიარებს ამ რეკომენდაციას, თუმცა დაწესებულების არცერთ თანამშრომელსა თუ მესამე პირს არ გამოუთქვამს საყვედური სტრუქტურის არაგამართულ მუშაობაზე. 2.2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უსდ მიიჩნევს, რომ შესაძლებელია რეკომენდაციის რჩევად ფორმულირება, რადგან ექსპერტები დასკვნაში აღნიშნავენ შემდეგს: „უნივერსიტეტში ეფექტიანად ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურები როგორც საუნივერსიტეტო, ისე საფაკულტეტო დონეზე“, „დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის ქმედითი მექანიზმები“, „ხარისხის უზრუნველყოფას პრიორიტეტული ადგილი უჭირავს ბსუ-ს დაგეგმვის დოკუმენტებში“ და ა.შ. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დადებითად არის შეფასებული და რეკომენდაცია რჩევად უნდა შეიცვალოს. უნივერსიტეტი იზიარებს ექსპერტების მოსაზრებას იმ ნაწილში, რომ პასუხისმგებლობის ნაწილი მოცემული იყოს როგორც ძირითად, ისე წამყვან მიმართულებებში. 3.1 რეკომენდაციასთან მიმართებით განაცხადა, რომ მედიცინის პროგრამა მთლიანად ეფუძნება მედიცინის განახლებულ სტანდარტს. მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა ხუთივე (ყველა) სტანდარტის სრული შესაბამისობის შეფასებით, რაც ხაზს უსვამს პროგრამის მაღალ ხარისხს. განახლებული სტანდარტის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად მოხდა ცვლილება და ამჟამად ამ პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი შეადგენს 19 კრედიტს. რაც შეეხება მეექვსე კურსს, ის მთლიანად ორიენტირებული გახდა კლინიკურ სწავლებაზე. ამდენად, დაწესებულებას მიზანშეწონილად მიაჩნია ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი რეკომენდაცია რჩევის სახით ჩამოყალიბდეს. 3.2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შესაძლებელია ამ რეკომენდაციის რჩევად ფორმულირება, რადგან ეს რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებულია. მედიცინის განახლებული დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნით, კურიკულუმში გაიზარდა ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტების კრედიტების მოცულობა (8 კრედიტის ნაცვლად - 12 კრედიტი), რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა აღნიშნული უნარების გაუმჯობესებას. გასული სასწავლო წლის მანძილზე ჩატარდა ხუთი სწავლა სწავლების, კლინიკური მეთოდების და OSCES ტრენინგი. დაწესებულებას ხარისხის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობისათვის გამოყოფილი აქვს მილიონამდე ლარი, მათ შორის, 100 000 ლარი კონკრეტულად ტრენინგებისათვის. 3.3 რეკომენდაციასთან მიმართებით განაცხადა, რომ შესაძლებელია ეს რეკომენდაცია რჩევად ჩამოყალიბდეს, რადგან ექსპერტთა ვიზიტის დროს

მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები OSCE საგამოცდო ცენტრში. ეს სამუშაოები უკვე დასრულებულია. დღეის მდგომარეობით განახლდა და დაემატა სიმულაციური მულაჟები, OSCE-ის გამოცდისთვის მოეწყო 10 სადგური, ხოლო კლინიკური უნარების პრაქტიკული სწავლებისთვის მოეწყო ორი დამატებითი სივრცე. 4.1 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტი იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას. 5.1 რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ ამ სტანდარტში დაწესებულებას აქვს სრული შესაბამისობა. უნივერსიტეტის თვითმმართველობას, მის ფუნქციებს, ლეგიტიმაციასა და მოვალეობებს განსაზღვრავს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონი. დაწესებულების მიზანია, რომ არ ჩაერიოს მათ თვითმმართველობის უფლებამოსილებებში. უნივერსიტეტში ცალკე არსებობს სტუდენტთა სერვისებისა და კარიერული განვითარების დეპარტამენტი. დაწესებულებას აქვს სხვადასხვა პროექტები. მაგალითად, სტუდენტთა შიდა გრანტი, რომლისთვისაც 100 000 ლარია გამოყოფილი. უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტური გაერთიანება „რუსთაველი“, რომელმაც 90 000 ლარის გრანტი მოიპოვა უნივერსიტეტისაგან. 6.1 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტები ძირითადად გაესაუბრნენ ისეთ დოქტორანტებს, რომლებსაც ინგლისური ენა არ ჰქონდათ ჩაბარებული. ბსუ-ს მოქმედი რეგულაციით დოქტორანტურაში მიღების წინაპირობად განსაზღვრულია მხოლოდ ინგლისური ენის B2 დონე, რომელიც უკვე უზრუნველყოფს ინგლისურ ენაში მაღალი კომპეტენციის მქონე დოქტორანტთა მიღებას. დამატებით, უსდ გეგმავს გარე მობილობით გადმოსული სტუდენტებისთვის ინგლისურ ენაში სავალდებულო გასაუბრების მექანიზმის ამოქმედებას, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას. 6.2 რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი იზიარებს მოცემულ რეკომენდაციას. 7.1 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ 2023 წელს უნივერსიტეტში განახლდა და დაემატა სიმულაციური მულაჟები. OSCE-ის გამოცდისთვის მოეწყო 10 სადგური. ასევე კლინიკური უნარების პრაქტიკული სწავლებისთვის მოეწყო ორი დამატებითი სივრცე. 7.2 და 7.3 რეკომენდაციებთან მიმართებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. 7.4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტს აქვს ნაშთი, რომელიც არ წარმოადგენს შეუსაბამობას სტანდარტთან. ექსპერტები დასკვნაში აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტის მნიშვნელოვანი ბიუჯეტი და გარდამავალი ნაშთი მიუთითებს ინსტიტუციის ფინანსურ სტაბილურობაზე. ბიუჯეტის მაღალი შესრულების მაჩვენებელი, ბოლო სამი წლის განმავლობაში ადასტურებს ეფექტიან ფინანსურ მართვას. ასევე უნივერსიტეტი ახდენს ფულადი რესურსების ეფექტიან მართვას და კაპიტალიზაციის საპროცენტო განაკვეთის რეგულირებით მნიშვნელოვანი შემოსავლის გენერირებას. მერაბ ხალვაშის თქმით, ამ ნაშთის წყალობით დაწესებულებამ უპრობლემოდ გაიარა ისეთი მძიმე პერიოდი, როგორიც „COVID 19“-ის პანდემია იყო. გარდა ამისა, ამ ნაშთით ორჯერ გაიზარდა პერსონალი ხელფასი 30%-ით ყველა განათლების საფეხურზე. არასწორია ინფორმაციაა ექსპერტთა მხრიდან აუდიტორიებში ძველი მერხების არსებობის შესახებ. როდესაც ექსპერტებთან ბოლო მიგნებებზე იყო საუბარი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თქვა შემდეგი ფრაზა: „ერთ-ერთი მოწესრიგებული უნივერსიტეტი საერთაშორისო მასშტაბით“. ინფრასტრუქტურასთან მიმართებით კი გამოიყენა შემდეგი ფრაზა: „ბრწყინავს“. უნივერსიტეტმა 28 მილიონი ლარი დახარჯა ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. აუდიტთან მიმართებით აღნიშნა, რომ ორჯერ გამოცხადდა კონკურსი. მისი სტრუქტურა ფორმულირებული და ჩამოყალიბებულია და უნივერსიტეტის საშტატოშია გათვალისწინებული. კომერციალიზაციასთან მიმართებით განაცხადა, რომ დაწესებულება ამ მიმართულებით მუშაობს. მესამე მისიის ფარგლებში უნივერსიტეტი ახორციელებს საკონსულტაციო სამუშაოებს შესაბამის სტრუქტურებში. კომერციალიზაციის წესი უნივერსიტეტში არსებობს არა დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით, არამედ რექტორის ბრძანების დონეზე. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს მოქმედი საერთო საცხოვრებელი, რომელიც 2017 წელს აშენდა. რეკომენდაცია ეხებოდა დამატებითი საერთო საცხოვრებელს, რომელსაც ამჟამად აშენებს არა უნივერსიტეტი, არამედ აჭარის მთავრობა. შესაბამისად, ეს საკითხი ბიჯეტში არ იყო გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ განაცხადა, რომ როდესაც რეკომენდაციაში მოცემულია, რომ „უნდა იყოს მეტად ინტეგრირებული“, არ არის სწორი ფორმულირება იმიტომ, რომ როგორც საქართველოში არსებულ, ისე გლობალურ სტანდარტებში წერია, რომ არ არის სასურველი პროგრამა იყოს მკაცრად საგანზე დაფუძნებული, თუმცა აუცილებელია იყოს ინტეგრირებული, მაგრამ ინტეგრაციის რა დონეზე იქნება ამას მნიშვნელობა არ აქვს. შესაბამისად, როდესაც ექსპერტები წერენ, რომ უნდა იყოს მაღალი ინტეგრაცია, მითითებული უნდა იყოს შესაბამისი დონე. სრულად ინტეგრაცია არ ნიშნავს იმას, რომ ის ნაწილობრივ ინტეგრაციაზე უკეთესია. გაიანე სიმონიამ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, კლინიკური სწავლების რა მეთოდები ჰქონდა უნივერსიტეტს. დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) პროგრამის ხელმძღვანელმა სოფიო ბერიძემ განაცხადა, რომ ინტეგრაციასთან დაკავშირებით დაწესებულების პასუხი საბჭოს წევრის მიერ გამოთქმული მოსაზრების მსგავსი იყო. ინტეგრაციის დატანა ფურცელზე ბევრად მარტივია, ვიდრე მისი განხორციელება. დაწესებულების მასშტაბით, შესაძლებლობებითა და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით მოხდა ინტეგრაციის ხარისხისა და დონის გათვალისწინება. დასკვნაში ტექნიკური ხარვეზია კლინიკურ სწავლებასთან დაკავშირებით. კლინიკური სწავლება მოიცავს კლინიკურ როტაციას და არ ხდება სიმულაციური სწავლების ცენტრში. სწორედ ეს უწყობს სტუდენტს ხელს, რომ დინამიკურად გადავიდეს მინდობილ პროფესიულ აქტივობაზე. უნივერსიტეტი ბოლო წლებია ცდილობს დანერგოს ტრადიციულ კლინიკურ სწავლებასთან ერთად ეს უკანასკნელი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანმა, რუსუდან ხუხუნაიშვილმა განაცხადა, რომ დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) პროგრამა ახალი საგანმანათლებლო პროგრამაა უნივერსიტეტში. მისი თქმით, დამატებითი სტრუქტურული ერთეული შეიქმნა იმისათვის, რომ ეფექტურად იმართოს პროგრამა. ამუშავდა ახალი პლატფორმა „რექტურიუს“ სახით, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ისე აკადემიური პერსონალისთვის. საბჭოს წევრმა, ეკა ეკალაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, დასკვნაში მოცემული იყო შემდეგი რჩევა: „მიზანშეწონილია, რომ ორივე სამედიცინო სასწავლო პროგრამა ინგლისურ და ქართულ ენებზე სტანდარტიზებული იქნას“. მას აინტერესებდა, რის საფუძველზე გაიცა აღნიშნული რჩევა. ექსპერტმა დავით თოფურიამ აღნიშნა, რომ ეს რჩევა გაცემული იყო საერთაშორისო ექსპერტის მიერ. მისი თქმით, მიზანშეწონილი არ არის, რომ ორივე სამედიცინო სასწავლო პროგრამა ინგლისურ და ქართულ ენებზე სტანდარტიზებული იყოს. ეს არის უბრალოდ რჩევა. დაწესებულება ან გაითვალისწინებს, ან არა გაითვალისწინებს მას, რადგან სავალდებულო ხასიათი არ აქვს. საბჭოს წევრმა, მაია ბიწკინაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, დასკვნაში მეორე და მესამე სტანდარტში მოცემული იყო შემდეგი: „მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო პროგრამის საგნობრივი ნიშნული მკაფიოდ განსაზღვრავს 14 ზოგად და სპეციფიკურ კომპეტენციას, ჯგუფმა ვერ დაადგინა რაიმე პირდაპირი კავშირი კომპეტენციებსა და სწავლის შედეგებს შორის. უფრო მეტიც, დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამის სილაბუსის შესწავლით, არ არსებობდა კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებსა და მოდულის სწავლის შედეგებს შორის. გარდა ამისა, იყო რამდენიმე სწავლის შედეგი, რომელიც არ იყო დაკავშირებული საგანთან (მაგ. პედიატრიის სილაბუსი)“. მას აინტერესებდა, აყენებდა თუ არა აღნიშნული ჩანაწერი კითხვის ნიშნის ქვეშ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობას. ექსპერტმა დავით თოფურიამ აღნიშნა, რომ ამ საკითხზე მუშაობდა თანათავმჯდომარე ნადია ბადრივი. შესაბამისად, ამ კითხვაზე გაუჭირდებოდა პასუხი. დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) პროგრამის ხელმძღვანელმა, სოფიო ბერიძემ განაცხადა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა ამომწურავი პასუხი გასცა საერთაშორისო ექსპერტს. შესაბამისად, უნივერსიტეტისთვის გაუგებარია ასეთი ჩანაწერის არსებობა

დასკვნაში. საბჭოს წევრმა, ლევან მიდოდაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, ის არგუმენტები, რომლებიც მიუთითებდა დაწესებულების მხრიდან 2.1 და 2.2 სტანდარტების შეუსრულებლობას. ექსპერტმა დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ მეტწილად ასრულებს აღნიშნულ სტანდარტებს. 2.1 სტანდარტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ადამიანური რესურსების განვითარება და ადამიანური კაპიტალის მართვა არის ის მიმართულებები, რომლებიც დაწესებულების მხრიდან მოითხოვს ბევრ მუშაობას. მისი თქმით, HR დეპარტამენტი ან ნებისმიერი დასახელების ამ ფუნქციის მატარებელი დეპარტამენტი დაწესებულებაში უნდა არსებობდეს, რომელსაც ექნება ცენტრალური საუნივერსიტეტო ფუნქცია ადმინისტრაციულ და მხარდაჭერის ჭრილში. 2.2 სტანდარტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტს წარმოდგენილი ჰქონდა კარგი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი. ასვე პირდაპირი და ირიბი შეფასების მეთოდები, ანალიზის დოკუმენტები და ა.შ. ერთია, რომ არსებობს ეს დოკუმენტები, ხოლო მეორეა როგორ ხორციელდება ის. გასაუმჯობესებელი მხარეა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სასწავლო გარემოს, სერვისების, დამხარე და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება. დაწესებულების წარმომადგენელმა, ვლადიმერ ღლონტმა აღნიშნა, რომ ის რეკომენდაციები, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა დაწესებულების მიმართ, უახლოეს ერთ წელიწადში შესრულებული იქნება. ხარისხის ნაწილთან მიმართებით განაცხადა, რომ ექსპერტების შეფასება არის აბსოლუტურად პოზიტიური. უნივერსიტეტს გააჩნია ეფექტიანი ქმედითი მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის პრიორიტეტულობა ასახულია დაწესებულების ყველა ძირითად ნორმატიულ აქტში. უნივერსიტეტის ყოველდღიური ზრუნვის ობიექტია ხარისხზე მუშაობა. ეს პროგრესი ექსპერტებმა შეფასებაში აღნიშნეს. 2.1 სტანდარტში მოცემულ რეკომენდაციას დაწესებულება იზიარებს. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 50%-ით მოხდა უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების გაზრდა. შესაბამისად, ეს არის იმის დასტური, რომ დაწესებულებაში ადამიანური კაპიტალი იზრდება. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები არ შეესაბამება დაწესებულების ბიუჯეტს და საბიუჯეტო პროექტირებას. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. უნივერსიტეტმა პრეცედენტი შექმნა ქართულ სინამდვილეში იმისა, რომ პროგრამული ბიუჯეტი შემოიღო. ის პროგრამები და ქვეპროგრამები, რომლებიც უნივერსიტეტის ბიუჯეტში არის წარმოდგენილი, თავიდან ბოლომდე პირდაპირ კორელაციაში არის დაწესებულების სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმასთან მიმართებით. 7.4 სტანდარტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტების დასკვნა ადასტურებს იმას, რომ უნივერსიტეტი თავის მიზანს ასრულებს. დადებით პრაქტიკაში არის ნათქვამი, რომ დაწესებულება აჭარის მაღალმთიანეთის სოციალურ შეჭირვებული ოჯახებისთვის ახორციელებს პროექტებს, რომლებიც დაკავშირებულია ერთიანი ეროვნული გამოცდების მომზადებასთან. უნივერსიტეტი შეზღუდული რესურსების განაწილებას ახერხებს იმდაგვარად, რომ უზრუნველყოს ძირითადი მიზნების მიღწევა, სახელფასო ფონდის ზრდა, დაამატოს აკადემიური თანამდებობები და შექმნას მოტივაციისა და სტიმულირების ფინანსური მექანიზმები. შესაბამისად, ამ მიღწევების აქცენტირების გარეშე დატოვება და საუბარი იმაზე, რომ ეფექტიანობის აუდიტთან მიმართებაში დაწესებულებას აქვს ხარვეზი, მიუღებელია. ამრიგად, 2.2 სტანდარტში მოცემული რეკომენდაცია უნდა შეიცვალოს რჩევით, ხოლო 7.4 სტანდარტის შეფასება მეტწილად შესაბამისობით. საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძე - ჯიშკარიანმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ფუნქციები ჰყოფნიდა თუ არა ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციის შესრულებას. ასევე რა გახდა 6.1 სტანდარტში მოცემული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. მისი თქმით, შიდა აუდიტთან დაკავშირებული რეკომენდაცია გულისხმობდა კონტროლის მექანიზმის არსებობას. ასევე საუბარი ეხებოდა ხარჯვით და ფინანსური ეფექტიანობის საკითხსაც. მას აინტერესებდა, კონტროლის მექანიზმი იყო თუ არა დაწესებულებაში ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო. ექსპერტმა ილია ბოცვაძემ განაცხადა, რომ მაშინ, როდესაც უნივერსიტეტს გააჩნია კარგად ჩამოყალიბებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების სისტემა, აუცილებელია

ასეთივე კარგი შეფასების სისტემა ჰქონდეს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასება ხდება უშუალოდ ხელმძღვანელების მიერ და გაურკვეველია რა სტანდარტებს იყენებენ შეფასებისას. შესაბამისად, ამის საფუძველზე გაიცა 4.1 სტანდარტში მოცემული რეკომენდაცია. აღნიშნულ საკითხთან კავშირშია დეპარტამენტი, რომელმაც უნდა განახორციელოს ეს ღონისძიება. ამის საფუძველზე ექსპერტებმა გასცეს 2.1 სტანდარტში მოცემული რეკომენდაცია, კერძოდ, რეკომენდებულია ადამიანური კაპიტალის, როგორც ახალი ცენტრალური ფუნქციის, განვითარება, რომელიც აერთიანებს და ემსახურება ურთიერთდაკავშირებულ მიზნებსა და ამოცანებს, როგორც მენეჯმენტსა და მხარდაჭერაში უნივერსიტეტის დონეზე, ასევე ფაკულტეტებსა და ინსტიტუტებში (ადამიანური რესურსების დეპარტამენტის მომავალი როლი). ექსპერტმა დავით მახვილაძემ განაცხადა, რომ 2.1 სტანდარტში მოცემული რეკომენდაცია უნივერსიტეტმა სრულად გაიზიარა. მისი თქმით, დაწესებულებაში რომ აღნიშნული დეპარტამენტი ყოფილიყო, ბევრი რეკომენდაცია ავტომატურად მოიხსნებოდა. 6.1 სტანდარტში მოცემულ რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ სანამ ეს რეკომენდაცია შემუშავდებოდა ექსპერტების მიერ, მანამდე უნივერსიტეტს შემუშავებული ჰქონდა ეს სტანდარტი. ყველა დოქტორანტი საკვლევ თემატიკაში იყო კომპეტენტური და მოტივირებული. ახალ დოქტორანტებს ინგლისური ენის პრობლემა აღარ აქვთ. რექტორის მოადგილემ, ანზორ ბერიძემ აღნიშნა, რომ ეს პრობლემა დაწესებულებაში უკვე მოგვარებულია. ექსპერტმა ეკა გეგეშიძემ განაცხადა, რომ დაწესებულება არ არის ფინანსური ინსტიტუცია, რომელსაც ბიუჯეტის 1/3 უნდა ჰქონდეს დეპოზიტზე განთავსებული. ეს უნდა იყოს გამოყენებული საუნივერსიტეტო საქმეში, კვლევაში და ა.შ. სტრატეგიული გეგმა და პროგრამული ბიუჯეტი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. მაგალითად, პროგრამულ ბიუჯეტში, კერძოდ, კვლევებში ინტეგრირებული იყო „Erasmus+“ გაცვლითი პროგრამის ხარჯები. როდესაც პროგრამული ბიუჯეტის შედგენა ხდება, აუცილებელია გამოყენებული იქნეს ინდიკატორი, საწყისი მაჩვენებელი და სამიზნე მაჩვენებელი. ამ მიმართულებით პრობლემა არსებობდა. კომერციალიზაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დასკვნაში ამაზე აქცენტები გაკეთდა, თუმცა რეკომენდაცია არ გაცემულა ამ მიმართულებით დაწესებულებაში მიმდინარე სამუშაო პროცესების გამო.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:15
დასრულების დრო: 21:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

კენჭისყრისშედეგი (მოწვეული საბჭო):
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ 245428158) მიენიჭოს ავტორიზაცია (დაწესებულების სახე - უნივერსიტეტი) 6 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

2. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს/მოწვეული საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს/მოწვეული საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს/მოწვეული საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახ ილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტი ზაზა ცოტნიაშვილი მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნის შესახებ სსიპ - საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-2, მე-3, მე-5 და მე-7 სტანდარტებთან შესაბამისობა. დაწესებულებაში ვიზიტი შედგა 2024 წლის 15 - 16 აპრილს. შეფასების პროცესი განხორციელდა დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზუალურად დაათვალიერა ქ. თბილისში მდებარე დაწესებულების შენობა, ასევე, კლინიკური ბაზები: საუნივერსიტეტო

ჰოსპიტალი ,,ღია გული” და აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დაწესებულებაში წარიმართა საქმიან ვითარებაში. მისი თქმით, პირველი რეკომენდაცია ეხებოდა უნივერსიტეტის სტრუქტურაში (სქემაში) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების (ოთხივე ფაკულტეტის) განცალკევებულად ასახვასა და წარმოდგენას. მეორე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი შინაარსით იყო მოცემული: „რეკომენდებულია გასწორდეს ხარვეზი უნივერსიტეტის ვებგვერდსა და პროგრამების ინგლისურენოვან კატალოგში ისე, რომ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა არ იყოს წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამებში (ვებგვერდის შემთხვევაში) და სადოქტორო პროგრამებში (კატალოგის შემთხვევაში)“. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა პრაქტიკაში ვებ-გვერდის მართვის მდგრადად დანერგვას (ყველა საკვანძო სტრუქტურული რგოლის ჩართულობით) შეფასებას ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებისა და PDCA-ციკლის გამოყენებით. მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა უსდ-ს მიერ უცხოელი აპლიკანტის მიღებისას უცხო ენის B1 დონეზე ცოდნის დადასტურების უზრუნველყოფას. მეხუთე რეკომენდაცია ეხებოდა ვებ-გვერდზე ინფორმაციის განახლებას (დასაქმების კატეგორია, სტუდენტის გზამკვლევი..) და ასევე უსდ-ს მიერ თითოეული დოკუმენტაციის ინგლისურად თარგმანის უზრუნველყოფას. მეექვსე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი შინაარსით იყო მოცემული: „უსდ-მ უზრუნველყოს, რომ სილაბუსებში გათვალისწინებული კონსულტაციის საათების ქმედითობა სწავლის დაწყებისთანავე მიეწოდოს სტუდენტებს შეთავაზებული შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია“. მეშვიდე რეკომენდაცია ეხებოდა უსდ-ს მიერ ქართველი და განსაკუთრებით უცხოელი სტუდენტებისთვის კულტურული ღონისძიებებისა და მსგავსი ტიპის ღონისძიებების გაძლიერებას ადაპტაციის გამარტივების მიზნით. მერვე რეკომენდაცია ეხებოდა იმ საკითხს, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ უნდა უზრუნველყოს დისტანციური წვდომა ყველა სამეცნიერო ბაზაზე, რათა სტუდენტები არ აღმოჩნდნენ განსხვავებულ (არათანაბარ) პირობებში. მეცხრე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „გასწორდეს ვებ-გვერდზე წარმოდგენილი ინფორმაცია: პროგრამების ჩამონათვალი, პროგრამების კატალოგი, განახლდეს სამსახურების წლიური ანგარიშები, განხორციელებული და მიმდინარე კვლევითი პროექტები განხორციელების ვადების მითითებით“. ზაზა ცოტნიაშვილმა რჩევებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სასურველია უნივერსიტეტმა გააძლიეროს მუშაობა და წაახალისოს პლაგიატის დეტექციის პროგრამის გამოყენება ყველა ფაკულტეტის სასწავლო კურსში, განსაკუთრებით - სამართლისა და მედიცინის მიმართულებით. ყველა პროგრამის დაშვების წინაპირობებში უნდა გაძლიერდეს უცხო ენის ცოდნის დონე. ასევე მიზანშეწონილია გაფართოვდეს საგანმანათლებლო პროგრამების არასავალდებულო კომპონენტები, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას. გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამები (რეგულირებული პროგრამების გარდა) შეიძლება შემუშავდეს ისე, რომ სტუდენტებს საშუალება ჰქონდეთ აირჩიონ სწავლების დამატებითი პროგრამები. მან აღნიშნა, რომ სასურველია უნივერსიტეტმა კიდევ უფრო გააძლიეროს მუშაობა წიგნადი ფონდის გამდიდრების მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს მრავალფეროვანი საბიბლიოთეკო ფონდის ჩამოყალიბებას და შესაბამისად, დაწესებულება მომზადებული შეხვდება გეგმიურ საავტორიზაციო პროცესს. გარდა ამისა, სასურველი იქნებოდა უსდ-ს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობის გაზრდა. ექსპერტმა ციცინო თურქაძემ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს, დაწესებულების ვებ-გვერდზე, კერძოდ, უნივერსიტეტის სტრუქტურაში ეწერა მხოლოდ ერთი ფაკულტეტი. უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან გასაუბრების შემდეგ, ეს პრობლემა ნახევარ საათში აღმოიფხვრა და წარმოდგენილი იქნა ფაკულტეტები, თუმცა უნივერსიტეტის სტრუქტურაში წარმოდგენილი არ იქნა ოთხივე ფაკულტეტი. მისი თქმით, ფაკულტეტები ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებია, რომელთა წარმოდგენა სტრუქტურაში მნიშვნელოვნად განსაზღვრავს უნივერსიტეტის აღქმას. მეორე რეკომენდაციასთან მიმართებით განაცხადა, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით დაწესებულებას აქვს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და ერთსაფეხურიანი

პროგრამების განხორციელების უფლება. სამედიცინო განათლების პროგრამები რეგულირებადია და ცალკე უნდა იყოს გამოტანილი, თუმცა ეს უკანასკნელი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე არ ჩანდა და საბაკალავრო პროგრამაში იყო მოცემული. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში წარმოდგენილია, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ეფექტურად განსახორციელებლად გამოიყენება და საინფორმაციო რესურსების ეფექტურად გამოყენებას აფასებს. ასევე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უზრუნველყოფს ამ რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას. შესაბამისად, ვებგვერდის მართვისათვის უკეთესი იქნება გამოყენებული იყოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. მეცხრე რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ ინტერვიუს დროს კვლევითი პროექტების მართვის სამსახურმაც დაადასტურა ის ფაქტი, რომ მიმდინარე პროექტებში ძველი პროექტები, რომლებიც ავტორიზაციის დროს იყო მიმდინარე, ახლაც მიმდინარეა. გარდა ამისა, ვებ-გვერდზე არ იყო ატვირთული სამსახურის 2019, 2020 და 2021 წლების შემდგომი ანგარიშები. პროგრამების ჩამონათვალი ვებ-გვერდზე ცალ-ცალკე უნდა იყოს გაკეთებული, რათა დაინტერესებული პირი არ შევიდეს შეცდომაში. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მიმართ გაცემული რეკომენდაციები არ არის რთულად შესასრულებელი და არ მოითხოვს დიდ რესურს. ექსპერტმა გიგა ხოსიტაშვილმა ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ როდესაც ექსპერტები იმყოფებოდნენ ბიბლიოთეკაში და იკითხეს შესაძლებელი თუ არა უნივერსიტეტის მიღმა ბაზებზე წვდომა, ბიბლიოთეკის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ ბაზებზე უნივერსიტეტის მიღმა წვდომა შესაძლებელი იყო მხოლოდ „Elsevier Scopus”-ის შემთხვევაში. შესაბამისად, ეს გახდა მერვე რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, დავით ბოსტოღანაშვილმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დიაგრამა გულისხმობს ფაკულტეტის ადგილის ჩვენებას უნივერსიტეტის ზოგად სტრუქტურაში. შესაბამისად, ოთხი ფაკულტეტი იქნება, თუ ერთი ფაკულტეტი ჩამონათვალში არსებითად არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ფაკულტეტებისა და მათი რაობის შესახებ ინფორმაციის მოძიება არის აბსოლუტურად თავისუფალი და ადვილად ხელმისაწვდომი. საბიბლიოთეკო ბაზების ხელმისაწვდომობა დაკავშირებულია ამ ბაზის მფლობელის ნებაზე. შეუძლებელია, რომ ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ბაზები. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ყველა რეკომენდაციის შინაარსი განსაზღვრული უნდა ყოფილიყო სტანდარტიდან გამომდინარე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი, კახაბერ ლაზარაშვილი, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, დაწესებულებამ 2021 წელს მოიპოვა ავტორიზაცია. 2019 წელს წარმატებით გაიარა ავტორიზაციის პირობების შემოწმება მონიტორინგის გზით. უნივერსიტეტმა 2022 წელს წარადგინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულები შესახებ ანგარიში. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს დაწესებულებას ვალდებულება ჰქონდა, რომ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით წარედგინა სამწლიანი ანგარიში, ხოლო 2026 წელს უწევს საავტორიზაციო თვითშეფასების წარდგენა. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, 2019 წლიდან უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის სტანდარტებთან თავსებადობის შემოწმება. დაწესებულების მიერ ყოველწლიურად სტანდარტებთან თავსებადობის დადასტურების კვალდაკვალ, დაწესებულებაში ჩაინიშნა მონიტორინგის ვიზიტი შვიდი სტანდარტიდან ხუთი სტანდარტის გადამოწმების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული 9 რეკომენდაციიდან 5 რეკომენდაცია ეხებოდა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნებაზე ექსპერტთა მოსაზრებებს, რომლებიც არც ავტორიზაციის სტანდარტებიდან გამომდინარეობს და არც საბჭო მიერ დადგენილი ე.წ. კარგი პრაქტიკის გამოძახილია. მან აღნიშნა, რომ

რეკომენდაციების შინაარსი ხშირად მეორდება. ამრიგად, შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი არ იზიარებს არცერთ რეკომენდაციას. დაწესებულების ვიცე- რექტორმა, თეა იმედაძემ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტები დასკვნაში აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტში სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა, ფუნქციები და პასუხისმგებლობები ნათლად არის ერთმანეთისაგან გამიჯნული. ასვე აღნიშნავენ იმასაც, რომ დაწესებულების ყველა სამართლებრივ დოკუმენტში ასახულია უნივერსიტეტის ნათლად და გასაგებად ჩამოყალიბებული ოთხივე ფაკულტეტის შესახებ ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ვებ-გვერდზე ცალკე რუბრიკად აქვს გამოყოფილიყო ფაკულტეტები, სადაც თითოეულ ფაკულტეტს ოთხი დამოუკიდებელი გვერდი ეთმობა. შესაბამისად, ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია ოთხივე ფაკულტეტის შესახებ ინფორმაცია. აღნიშნული ქვეგვერდებისა და ცალკე რუბრიკის არსებობა ხელს უწყობს იმას, რომ არცერთი დაინტერესებული მხარე არ შევიდეს შეცდომაში. ექსპერტები საუბრობდნენ მხოლოდ ორგანიზაციულ სქემაზე, რომელიც განთავსებულია დაწესებულების შესახებ რუბრიკაში და წარმოადგენს მხოლოდ დიაგრამას, რაც ასახავს უნივერსიტეტის შიდა სისტემის ვიზუალურ სტრუქტურას. მისი ერთადერთი დანიშნულებაა დაწესებულების თითოეული სტრუქტურული ერთეულის ორგანიზაციასთან ურთიერთობის ჩვენება. ის ასევე აჩვენებს ურთიერთდაქვემდებარებასა და პასუხისმგებლობის არეალებს. ორგანიზაციულ სქემაზე ნათლად არის ნაჩვენები ფაკულტეტის ადგილი საუნივერსიტეტო კლინიკაში და მათი მართვის ორგანოები. იმის გათვალისწინებით, რომ ოთხივე ფაკულტეტს ერთი და იგივე ადგილი უჭირავს და მართვის ორგანოებიც ერთნაირი აქვს, დაწესებულებას მიზანშეწონილად არ მიაჩნია სტრუქტურის ხელში მათი ცალ-ცალკე ჩამოთვლა. უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ექსპერტთა ის მოსაზრება, რომ სტრუქტურის ხელში ფაკულტეტების სიმრავლის დაფიქსირება მომხდარიყო. ექსპერტები დასკვნაში აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას. ამრიგად, ყოველივე ამის გათვალისწინებით, აღნიშნულ რეკომენდაციას უნდა ჰქონოდა რჩევის ხასიათი. ქეთევან აფთარაშვილმა მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტი არ იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას. მისი თქმით, დაწესებულების ვებ-გვერდზე დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის შესახებ ინფორმაცია დეტალურად არის მოცემული. ეს ინფორმაცია ძალიან ინფორმატიულია. ასევე ნავიგაციის კუთხითაც ამ ინფორმაციის მიღება ძალიან მოსახერხებელია. დაწესებულება ხშირად იღებს მომხმარებლების მხრიდან დადებით უკუკავშირს. შესაბამისად, უნივერსიტეტს მომხმარებელი არ შეჰყავს შეცდომაში. ინგლისურენოვანი პროგრამის კატალოგის სარჩევში ერთი ინტერვალით იყო შიგნით შეწეული დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა, რამაც ექსპერტს დაუტოვა იმისი შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული პროგრამა იყო სადოქტორო პროგრამა. თუ ნებისმიერი პირი დიპლომირებული მედიკოსის კატალოგში შევა, მაშინ ის ნათლად დაინახავს, რომ აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით ხაზგასმით, სათაურშივე წარმოდგენილია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ეს პროგრამა არის ერთსაფეხურიანი. კატალოგი მუდმივად განახლებადია. დაწესებულებამ ექსპერტების ვიზიტის შემდეგ ცვლილებები განხორციელდა აღნიშნულ კატალოგში, კერძოდ, დაემატა სკოლამდელი განათლების პროგრამა. ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, ეკა ლუაშვილმა, მესამე რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ რეკომენდაციის შინაარს არანაირი კავშირი არ აქვს არცერთ შეფასების კრიტერიუმთან. მისი თქმით, უნივერსიტეტს პრაქტიკაში აქვს დანერგილი ვებ-გვერდის მართვა. დაწესებულებას აქვს შიდა ხარისხის უზრუნველყოფიდან გამომდინარე ყველა პროცესთან მიმართებით გაწერილი წერილობითი პროცედურა, რათა არ იცვლებოდეს გადაწყვეტილებები კონკრეტული დოკუმენტის მიღმა. დაწესებულებაში ვებ-გვერდის მართვისთვის არსებობს წერილობითი პროცედურა, რომლის შინაარსი მოიცავს შემდეგ დინამიკას. ვებ-გვერდს ჰყავს „კონტენტის“ მართვაზე პასუხისმგებელი პირი - „ვებ-ადმინისტრატორი“. ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნების დროს თითოეული

სტრუქტურული ერთეული თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულია კონკრეტულ ელექტრონულ მისამართზე გააგზავნოს ინფორმაცია, რათა ვებ-გვერდის ადმინისტრატორმა უზრუნველყოს ამ ინფორმაციის ასახვა და განახლება. ტექნიკურ მხარდაჭერას ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი, ხოლო ქსელის უსაფრთხოებას კომპანია „გრენა“ უზრუნველყოფს. ისეთ ინსტიტუციებში, რომლებსაც პირდაპირ აქვთ ვალდებულება დაინტერესებული მხარეებისთვის სამართლებრივი აქტების სერვისების განხორციელება, არსებობს დაბრკოლება განახლებასთან დაკავშირებით. დასკვნაში ექსპერტების მხრიდან არ არის აღნიშნული ის ფაქტი თუ როდის ინახა ვებ-გვერდი. მაშინ, როდესაც ექსპერტები ამბობენ, რომ შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებისა და PDCA-ციკლის გამოყენებით უნდა მოხდეს, ადგილი აქვს ფაქტობრივ შეუსაბამობას. ექსპერტები დასკვნაში ადასტურებენ, რომ უნივერსიტეტში ყველა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი დაფუძნებულია PDCA-ციკლზე. შეუძლებელია კუმულატიურად როგორც ხარისხის უზრუნველყოფით, ისე PDCA-ით შეფასება. დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის გამოყენება ავტომატურად მოიცავს PDCA-ი ციკლის გამოყენებას. ეკა ლუაშვილმა დაამატა, რომ ვებ-გვერდზე არსებობს დაინტერესებული მხარისთვის უკუკავშირის სივრცე. ქეთევან აფთარაშვილმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი სისტემატურად ატარებს კმაყოფილების კვლევებს როგორც სტუდენტებთან, ისე პერსონალთან მიმართებით. ყველა სამსახურს ევალება, რომ წარმოადგინოს ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიში, რომლის შესწავლა ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენის მიზნით. თეა იმედაძემ მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ნებისმიერ პროგრამაზე შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის გაგრძელების უფლების მქონე პირთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობასთან სრული შესაბამისობით. ექსპერტების მიერ დასახელებული საქართველოს განათლების მინისტრის „N224 ბრძანების“ მეორე მუხლის მესამე „პრიმა“ პუნქტი ამბობს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დაადასტუროს პირების მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის ფლობა არანაკლებ B1 დონეზე. შესაბამისად, როდესაც ეს ცვლილება შევიდა, უნივერსიტეტმა სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში განსაზღვრა ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის ინგლისური ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობის დადასტურების წესი. აპლიკანტმა ენის ცოდნა შეიძლება დაადასტუროს რამდენიმე გზით, კერძოდ, ენის ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების მიხედვით, ინგლისური ენის შესაბამისი დონის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენით, შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატით „სერტუსით“, ზოგადი და უმაღლესი განათლების საფეხურზე ბოლო ორი წლის განმავლობაში ინგლისურ ენაზე სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტით ან უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ინგლისური ენის გამოცდით. მისი თქმით, უნივერსიტეტში ჩარიცხულ ყველა სტუდენტს ამ წესის შესაბამისად აქვს დადასტურებული საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილ დონეზე სწავლების ენის ფლობა. ჩარიცხვის მსურველი განაცხადის წარდგენის შემდეგ აბარებს გამოცდას ინგლისურ ენაში უნივერსიტეტის ენების ცენტრისა და საგამოცდო ცენტრის ორგანიზებით ან წარმოადგენს შესაბამის სერტიფიკატს ან ცნობას სკოლის ინგლისურ ენაზე დადასტურების შესახებ. უნივერსიტეტის განაცხადის წარდგენის ეტაპი მოიცავს ინგლისურ ენაზე გასაუბრებას (საკანონმდებლო დონეზე სავალდებულო არ არის), რომელიც წარმოადგენს დამატებით საშუალებას ენობრივი კომპეტენციების შესამოწმებლად. მისი თქმით, ენის ცოდნის დადასტურება სწავლების წინა საფეხურზე საერთაშორისოდ აღიარებული მექანიზმია და გვხვდება როგორც საერთაშორისო უნივერსიტეტების მიღების პრაქტიკაში, ისე საქართველოში. მსგავსი წესი მოქმედებს თითქმის საქართველოს ყველა უნივერსიტეტში. ექსპერტებს ვიზიტის დროს განემარტათ როგორც ჩარიცხვის პროცედურები, ისე ცოდნის დადასტურების მექანიზმები. წარედგინათ ინგლისური ენის გამოცდის ნიმუშები და გასაუბრების ჩანაწერები. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ ეს საკითხი გადაემოწმებინათ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პერსონალთან

შეხვედრების დროს. დასკვნაში არ იძებნება არცერთი მსჯელობა და არგუმენტი უნივერსიტეტის სტუდენტების ენის ცოდნის დონის დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ. ასევე არ არის დასაბუთებული უნივერსიტეტში დადგენილ საკანონმდებლო მოთხოვნებთან შეუსაბამობა, ან მექანიზმების არაეფექტიანობა თუ არსებობდა. ამრიგად, ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე, დაწესებულებას მიაჩნია, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია არარელევანტურია. ქეთევან აფთარაშვილმა მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ დასკვნაში არ ფიქსირდება არგუმენტი იმის შესახებ თუ რატომ უნდა განახლდეს დასაქმების კატეგორია, რომელიც ვებ-გვერდზეა მოცემული. ექსპერტები დასკვნაში წერენ, რომ დასაქმების კატეგორია მოძველებულია და საჭიროებს განახლებას. შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში სტუდენტის გზამკვლევები ვებ-გვერდზე ყოველწლიურად განახლებადია. ექსპერტები დასკვნაში პოზიტიურ კონტექსტში განიხილავენ იმას, რომ დაწესებულებამ „Hr.ge"-ს ინტეგრირება მოახდინა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება სტანდარტით მოთხოვნილ დოკუმენტებს, რომლებიც ინგლისურ ენაზე უნდა იყოს წარმოდგენილი, თარგმნის. გარდა მინიმალური სტანდარტით მოთხოვნილი დოკუმენტების თარგმნისა, უნივერსიტეტი თარგმნის სწავლებისა და კვლევის მიმართულებით დამატებით დოკუმენტებს. ექსპერტები დასკვნაში აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი არის ორ ენოვანი და საკმაოდ ინფორმატიული. ინფორმაცია განთავსებულია იმგვარად, რომ მარტივად ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ახალი ინფორმაციის განთავსება მიმდინარეობს მუდმივ რეჟიმში. ამრიგად, ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე, დაწესებულებას მიაჩნია, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია არარელევანტურია. ქეთევან აფთარაშვილმა მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულება არ იზიარებს მოცემულ რეკომენდაციას. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ აკადემიური პერსონალი არ მიყვება სილაბუსში საკონსულტაციო საათებს. მისი თქმით, ექსპერტს შეეძლო ეს კომენტარი მიეღო არა უარყოფით, არამედ დადებით კონტექსტში. კონსულტაციები მიმდინარეობს როგორც ჯგუფურად, ისე ინდივიდუალურად წინასწარ განსაზღვრული განრიგით. ასევე სტუდენტი სარგებლობს დამატებითი საკონსულტაციო სერვისით. მან აღნიშნა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს დატვირთვების სქემაში სავალდებულოდ აქვს გათვალისწინებული საკონსულტაციო საათების ჩატარება. ეს შეიძლება განხორციელდეს როგორც ელექტრონულად, ისე პირდაპირ რეჟიმში. კონსულტაციების შინაარსი შეიძლება ეხებოდეს როგორც სასწავლო საქმიანობას, ისე კვლევითი მიმართულებას. მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არ იზიარებ აღნიშნულ რეკომენდაციას. ექსპერტები დასკვნაში წერენ, რომ უსდ ზრუნავს უცხოელი სტუდენტების ადაპტაციაზე ქართულ საცხოვრებელ და საუნივერსიტეტო გარემოსთან. ყოველწლიურად ტარდება კულტურული დღეები. სტუდენტებს მოსწონთ აღნიშნული ღონისძიებები, აქტიურად იღებენ მონაწილეობას და ერთხმად აღნიშნავენ, რომ სასურველია ამ მიმართულებით მეტი კულტურული ღონისძიებები ჩატარდეს. ბოლო ორი წლის განმავლობაში 70-ზე მეტი ინტერკულტურული ღონისძიება ჩატარდა ქართველი და უცხოელი სტუდენტების მონაწილეობით. ეს ღონისძიებები მოიცავდა ყველა მიმართულებას, კერძოდ, კულტურულ ფესტივალებს, სხვადასხვა რეგიონებში ტურს, ტრადიციულ სამზარეულოს გაცნობას, ფილმების ჩვენებას და ა.შ. მან აღნიშნა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ხორციელდება პროექტი კვლევითი ცენტრის მიერ. განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტმა მოიგო შოთა რუსთაველის ფონდის გრანტი, რომელიც ეხებოდა ქართველ და უცხოელ სტუდენტებს შორის ინტერკულტურული დიალოგის გაძლიერებას. შესაბამისად, ამ მიმართულებით უნივერსიტეტი ინტენსიურად მუშაობს. მერვე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულების ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე განთავსებულია როგორც ღია წვდომის ბაზები, ისე ელექტრონული ჟურნალები და საერთაშორისო სამეცნიერო ბაზები. აღნიშნული ელექტრონული რესურსების ნაწილზე სტუდენტს აქვს ღია წვდომა.

სტუდენტს იმ შემთხვევაში შეუძლია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაზე გარე წვდომა თუ ის გაივლის ავტორიზაციას საუნივერსიტეტო ელექტრონული კორპორატიული ელ.ფოსტით. მეცხრე რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ განხორციელებულ კვლევით პროექტებში მითითებულია კვლევის განხორციელების ვადა. ვებ-გვერდზე სხვადასხვა პერიოდის კვლევებია განთავსებული, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ კვლევითი პროექტების შესახებ ინფორმაცია განახლებადია. უნივერსიტეტისთვის გაუგებარია იყო ის თუ რას გულისხმობდნენ ექსპერტები პროგრამების ჩამონათვალის განახლებაში. მეშვიდე სტანდარტის მიხედვით სამსახურების წლიური ანგარიშის წარდგენის ვალდებულება უნივერსიტეტს არ გააჩნია. რაც შეეხება დაწესებულების ანგარიშებს, ისინი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეა განთავსებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრმა, ლევან მიდოდაშვილმა, მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, რა გახდა აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. ექსპერტმა ზაზა ცოტნიაშვილმა აღნიშნა, რომ ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ინგლისურენოვან პროგრამაზე ბოლო ორი წლის განმავლობაში დაწესებულება აღარ სთხოვდა ჩარიცხულ სტუდენტებს ინგლისური ენის სწავლების დამადასტურებელ სერტიფიკატს. შესაბამისად, ეს გახდა აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს მეშვიდე რეკომენდაციასთან მიმართებით. მას აინტერესებდა, როდესაც საუბარია „კულტურული ღონისძიებების გაძლიერებაზე“, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ უფრო მეტი ღონისძიებებია ჩასატარებელი უნივერსიტეტში კულტურული ღონისძიებების განვითარებისთვის. ასევე როგორ იზომება სტუდენტების კულტურული ინტეგრაცია ინსტიტუციაში. შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორმა, კახაბერ ლაზარაშვილმა განაცხადა, რომ „ადგილები და სივრცეები უნივერსიტეტის შიგნით და მის მიღმა“ პროექტის ფარგლებში 40-ზე მეტი აქტივობა განხორციელდა როგორც ქართველი, ისე უცხოელი სტუდენტების ჩართულობით. შესაბამისად, უნივერსიტეტი ამ მიმართულების გაძლიერებაზე ყველაფერს აკეთებს. ექსპერტმა ზაზა ცოტნიაშვილმა აღნიშნა, რომ ამ საკითხზე საბუარი გაუჭირდებოდა იმიტომ, რომ მასზე სტუდენტი - ექსპერტი მუშაობდა.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 21:35
დასრულების დრო: 00:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

კენჭისყრისშედეგი (მოწვეული საბჭო):
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად, შეწყდა შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2024 წლის 20 აგვის ტოს, 00:00საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ჩინჩალაძე ნინო